

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №14

ქ. თბილისი

26.02.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი ამილახვარი - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;  
მკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სხდომის მდივანი;  
ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;  
სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;  
ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი სიტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;  
გაიანე სიმონია - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, გერიატორის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;  
ანა ფირცხალაშვილი - შპს "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;  
ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;  
თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ქეთევან კინწურაშვილი;  
გიორგი ჯაფოშვილი;  
ბესარიონ ლასარეიშვილი;  
ნანა ფირცხელანი;  
ანა ბოკუჩავა;  
მამუკა ბენაშვილი;  
ანი ბილანიშვილი;  
გივი გავარდაშვილი;  
ლევან გულუა;  
ნიკა კიკნაძე;  
ნატო კობახიძე;  
ლაშა ლალიაშვილი.

მოწვეული ექსპერტები:

როზა ლორთქიფანიძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;  
ნინო ვეფხიშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი ქვარცხავა - ფაკულტეტის დეკანი;  
ირმა ინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;  
ნინო ლომიძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;  
თეიმურაზ რუხაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;  
აკაკი გუნცაძე - ფაკულტეტის მენეჯერი;  
ლია ამირანაშვილი - აგრარული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;  
ირაკლი ყრუაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;  
გურამ ტყემალაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;  
გიორგი გაგოშიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;  
ვლადიმერ დოლიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;  
ვასილ ღლიღვაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;  
მანანა ცინცაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:20 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი ამილახვარმა. აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, მაკა ლაშხიას.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. შესაბამისად დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით იქნა დამტკიცებული.



1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში 0415
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ქვარცხავამ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ აკრედიტაციის საბჭოს ჰქონდა უფლება, ზოგიერთ შემთხვევაში როდესაც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამას გასული ჰქონდა აკრედიტაციის ვადა, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო წინა თარიღით.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ აღნიშნული პრაქტიკა, შესაბამისად გადაწყვეტილების ამოქმედება წინა თარიღით არ იქნებოდა პრობლემა.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განსახილველ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ციცილო თურქაძე არ იმყოფებოდა ამჟამად ქვეყანაში და იგი სკაიპის საშუალებით ჩაერთვებოდა სხდომაზე და გააცნობდა საბჭოს რეკომენდაციებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო რეკომენდაციები განსახილველ პროგრამასთან დაკავშირებით:

- რეკომენდირებული იყო გასწორებულიყო პროგრამის კურიკულუმში მითითებული ლინკი აიოვას უნივერსიტეტის შესახებ რადგან წარმოადგენდა არასწორ ინფორმაციას და შეეძლო შეცდომაში შეყვანა დაინტერესებული პირი;
- რეკომენდირებული იყო პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ ჩამოყალიბებულიყო კურსდამთავრებულის კომუნიკაციის უნარი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად;
- გაუმჯობესებულიყო უცხოური ენების სწავლება, მათ შორის განხილულიყო მინიჭებული კრედიტების გაზრდის საკითხი;
- გაუმჯობესებულიყო სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და ანალიზის შესაძლებლობები, ისე რომ მკაფიოდ ყოფილიყო განსაზღვრული შემდეგი საკითხი „პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის“, „ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება“;
- რადგან დაწესებულება აღიარებდა, რომ გასაუმჯობესებელი მხარე იყო ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირე პროგრამასთან თავსებადობის ფარგლებში, კონკრეტულად უნდა შეფასებულიყო პრიორიტეტულად რომელი სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა მოითხოვდა გაუმჯობესებას და როგორ მოხდებოდა ეს ეტაპობრივად. აღნიშნული უნდა ასახულიყო პროგრამის განვითარების გეგმაში.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა შეექმნა მდგრადი პრაქტიკა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მუდმივად იღებდა სათანადო მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისათვის;
- სასწავლო კურსებს უნდა დამატებოდა ის ძირითადი ლიტერატურა, რომელიც უზრუნველყოფდა იმ სწავლის შედეგებს, რომელიც მიიღწეოდა საკურსო სამუშაოს, პრაქტიკული და/ან ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებით;
- პროგრამის თვითშეფასებაში, გასაუმჯობესებელ მხარეებში წარმოდგენილი იყო სტუდენტებისათვის საერთაშორისო კონფერენციებში, ღონისძიებებში და კვლევებში ხელშეწყობის გაძლიერება. შესაბამისად პროგრამის განვითარების სტრატეგიას და დაგეგმილ აქტივობებს აღნიშნული საკითხიც უნდა მოეცვა;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა ჰქონოდა პროგრამის მონიტორინგისა და შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების დროში გაწერილი პროცედურები სისტემატური და რეგულარული გამოყენების უზრუნველყოფისათვის. ამ მიმართულებით გასაუმჯობესებელი იყო გამოკითხვის სისტემა, რომელიც სტუდენტებს აძლევდა საშუალებას შეეფასებინათ სავალდებულო კურსი სემესტრის დასასრულს, ამ შედეგების დამუშავებისა და შემდგომი რეაგირების მექანიზმების ჩათვლით;
- უნდა შემუშავებულიყო შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფდა პროგრამის სამიზნე ნიშნულების დადგენას პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის, რაც გამოყენებული იქნებოდა სწავლის შედეგების მონიტორინგისათვის და სამიზნე ნიშნულებთან დადარებისათვის.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა განაცხადა, რომ ფაკულტეტს ჰქონდა კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროგრამას ახორციელებდნენ კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ აბიტურიენტების დონე რომლებიც აბარებდნენ პროგრამაზე იყო დაბალი. აღნიშნულის გამო სტუდენტები ვერ იყენებდნენ იმ შანსს რაც გააჩნდა პროგრამას, როგორც ცნობილი იყო დაწესებულებას ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება აიოვას უნივერსიტეტთან და მეორე კურსის შემდეგ სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება სწავლა გაეგრძელებინათ აიოვას უნივერსიტეტში. აღსანიშნავი იყო, რომ ვინაიდან სტუდენტებმა არ იცოდნენ ინგლისური ვერ იყენებდნენ ამ შესაძლებლობას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიღება პროგრამაზე ხდება მხოლოდ ტექნიკური საგნებით, ფიზიკა - მათემატიკით. 2014 წელს როდესაც გამოცხადდა პირველი მიღება არ არსებობდა ფაკულტეტი, რამაც გამოიწვია ის, რომ პროგრამაზე მიღება შესაძლებელი იყო ნებისმიერი საგნით. მას შემდეგ რაც დადგინდა, რომ მიღება განხორციელდებოდა მხოლოდ ტექნიკური საგნებით თითქმის გაუნახვერდათ სტუდენტთა რაოდენობა. რაც შეეხებოდა სწავლის გაგრძელებას ამერიკაში, პრობლემა არ იყო მხოლოდ ენის ცოდნა, ამერიკულმა მხარემ დამატებით მოითხოვა ფინანსური უზრუნველყოფაც რაც სტუდენტების და ფაკულტეტის ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე ფაქტიურად შეუძლებელი იყო. თუმცა ფაკულტეტი მუდმივად მუშაობდა იმაზე რომ თუნდაც 2-3 სტუდენტს ჰქონოდა საშუალება უფასოდ გაეგრძელებინა სწავლა ამერიკაში. ხელისშემშლელი იყო ასევე ამერიკაში ცხოვრების კომპონენტი, რომელიც ასევე დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებაში ყველა პროგრამას გააჩნდა თავისი განვითარების გეგმა. როდესაც პროგრამა გადიოდა საბჭოზე, შემდეგ დგებოდა რეკომენდაციების ნუსხა, დროში იწერებოდა მკაფიო გეგმა, რომელიც შემდეგ მთლიანდებოდა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო დონეზე. შესაბამისად მისი მოსაზრებით პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტი მეტწილად კი არა სრულად შეესაბამებოდა მოთხოვნებს და მისთვის გაუგებარი იყო რატომ ვერ მოიძიეს ექსპერტებმა აღნიშნული ინფორმაცია. რაც შეეხებოდა 2.3 ქვესტანდარტს, სადაც აქცენტი იყო გაკეთებული ლიტერატურის დამატებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავი იყო, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა სრულიად საკმარისი იყო იმ ცოდნისათვის, რაც იყო დაგეგმილი სასწავლო კურსის მიხედვით. რაც შეეხებოდა გაუმჯობესებას ეს გახლდათ მუდმივი პროცესი და ყოველწლიურად ხდებოდა ლიტერატურის განახლება. აღნიშნულ კომპონენტშიც ვერ ეთანხმებოდნენ შეფასებას. უცხო ენოვანი ლიტერატურა გათვალისწინებული იყო მხოლოდ დამატებითი ლიტერატურის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა ინგლისური ენის კომპონენტთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტების მოსაზრებას ინგლისური ენის კომპონენტის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ინგლისური ენისათვის გათვალისწინებული იყო 6 კრედიტი და მიმდინარეობდა მუშაობა კრედიტის გაზრდის

მიზნით. 6 კრედიტში გათვალისწინებული იყო მხოლოდ დარგობრივი ინგლისური. ვინაიდან პროგრამა გახლდათ აიოვას უნივერსიტეტის პროგრამის ანალოგი, დედანში არ იყო გათვალისწინებული ინგლისური ენა. მისი გათვალისწინება პროგრამაში განხორციელდა დაწესებულების ინიციატივით. დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამის მონიტორინგთან და შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მე-5 სტანდარტი შეფასებული იყო კარგად, თუმცა 5.3 კომპონენტში ეწერა რომ გაუმჯობესება უნდა მომხდარიყო 1.2 და 1.3 კომპონენტის გასაუმჯობესებლად. მისი მოსაზრებით აღნიშნული არ იყო სწორად მითითებული ვინაიდან არ უნდა ყოფილიყო ბმა კომპონენტებს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2.4 კომპონენტში ექსპერტები აღნიშნავდნენ საუკეთესო პრაქტიკას და არ ჰქონდათ რეკომენდაცია. ასევე იყო სხვა კომპონენტებში, მაგრამ მიუხედავად ამისა შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით მითუმეტეს რომ არ იყო გაცემული რეკომენდაცია. მისი მოსაზრებით ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის მოწვეულ სპეციალისტს, როზა ლორთქიფანიძეს. მოწვეულმა ექსპერტმა განაცხადა, რომ გაეცნო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამას, რომელიც გახლდათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, ვინაიდან მიდგომის თვალაზრისით ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია აუცილებლად ჭირდებოდა ქვეყანას. რაც შეეხებოდა პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს და ლაბორატორიას, იცნობდა მათ ნაშრომებს და მათი მომზადების დონეს, მისთვის გასაკვირი იყო რატომ უნდა ყოფილიყო 1.2 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაში. დაწესებულებას ჰქონდა არაჩვეულებრივი ლაბორატორია, სადაც სტუდენტი მიიღებდა კარგ გამოცდილებას.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 1.2 კომპონენტი საუბრობდა სწავლის შედეგებზე. მას აინტერესებდა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით რა კავშირში იყო ლაბორატორია.

მოწვეულმა ექსპერტმა, როზა ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ თუ ლაბორატორიაში არ განხორციელდებოდა კვალიფიციური კადრის მიერ შესაფერისი ცოდნის გადაცემა სტუდენტი ვერ გამოიმუშავებდა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, რაც პირდაპირ აისახებოდა შედეგებზე.

ცენტრის წარმომადგენელმა, მანია გელაშვილმა აღნიშნა, რომ 1.2 კომპონენტში მოცემული რეკომენდაცია შინაარსობრივად არ იყო კავშირში ლაბორატორიასთან.

მოწვეულმა ექსპერტმა, როზა ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრება ეყრდნობოდა დასკვნაში ასახულ გარემოებებს. მას არ ჰქონდა დრო გაცნობოდა განსახილველად წარმოდგენილ პროგრამებს სრულყოფილად.

მეორე მოწვეულმა ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდა ზოგადი და არაორგანული ქიმიის კურსი, მას აინტერესებდა ისწავლებოდა თუ არა ორგანული ქიმია. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცალკე კურსის სახით გათვალისწინებული იყო ნიადაგმცოდნეობის კურსი, მიმდინარეობდა მუშაობა იმ კომპონენტების გასაუმჯობესებლად, როგორც იყო მაგალითად უძრავი ფოსფორი, თუმცა ეხლა უკვე უზრუნველყოფილი იყო. ასე ორგანული ფორმებიც გათვალისწინებული იყო.

თუმცა, თუ არ ეხებოდნენ სასურსათო ტექნოლოგიას და ეხებოდნენ მხოლოდ ნიადაგს და წყალს, ცალკე ორგანული ქიმიის სწავლება არ იყო მიზანშეწონილი. ზოგადად ორგანული ქიმიის გარკვეული საკითხები გაბნეული იყო სხვადასხვა სილაბუსში.

მოწვეული ექსპერტი, ნინო ვეფხიშვილი დაინტერესდა, როდესაც გაფორმდა ხელშეკრულება აიოვას უნივერსიტეტთან იცოდნენ თუ არა ფაკულტეტის მესვეურებმა იმ პირობების შესახებ, რომელსაც აიოვას უნივერსიტეტი წამოაყენებდა, მაგალითად სტუდენტების ამერიკაში სწავლების საფასურთან და ლიტერატურასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მემორანდუმი დაიდო 2013 წელს, ლიტერატურა რომელიც ჩადებული იყო სილაბუსებში ითარგმნა და უნივერსიტეტმა დახარჯა ათეულობით ათასი ლარი თარგმანის უზრუნველყოფაში. მათ აიოვას უნივერსიტეტთან აქვთ თანამშრომლობა ფაკულტეტებს შორის, თუმცა ფინანსური საკითხის რეგულირება ვერ ხერხდებოდა ვინაიდან ამერიკული სისტემა განსხვავდებოდა ევროპული სისტემისაგან.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ განაცხადა, რომ როგორც აღინიშნა პრაქტიკა მიბმული იყო საგანზე, დაინტერესდა რას გულისხმობდა აღნიშნული და სად გადიოდნენ სტუდენტები პრაქტიკას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტებს ჰქონდათ საგანი, პრაქტიკული სამუშაოები და პრაქტიკაც. წყლის რესურსების მონიტორინგის საგნის ფარგლებში სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას სხვადასხვა ობიექტზე რაც გამოიხატებოდა ექსპლუატაციაში და მონიტორინგში. ცალკე არ ჰქონდათ გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკა. ნიადაგმცოდნეობაში და მელიორაციაშიც გათვალისწინებული ჰქონდათ ლაბორატორიული პრაქტიკა და ასევე გათვალისწინებული იყო პროექტი.

ცენტრის წარმომადგენელმა, მაია გელაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ მიიღებდნენ დასკვნის პროექტს, სადაც შეფასების ნაწილში გამოიკვეთებოდა ტექნიკური ხარვეზები აუცილებლად უნდა აღენიშნათ არგუმენტირებულ პოზიციაში იმისათვის, რომ საბოლოო დასკვნაში ყოფილიყო გამოსწორებული ხარვეზები.

საბჭოს სხდომაზე 11:55 საათზე გამოცხადდა შესვენება.  
სხდომა განახლდა 12:10 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0



**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>ა</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>ბ</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.



2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგია
კვალიფიკაციის დონე	მე-8 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი 0104
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შენიშნა, რომ პროგრამა არ იყო ახალი. მან აღნიშნა, რომ პირველადი შთაბეჭდილება ისეთ იყო, თითქოს პროგრამას ჰქონდა ერთი ძირითადი ფოკუსი, კერძოდ შაქრისა და სპირტის წარმოებაზე და იყო მოწოდებული ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაზე. მისი თქმით, პროგრამას ჰყავდა მაღალი კომპეტენციის ხელმძღვანელები და საერთო ჯამში პროგრამა ზრუნავდა კომპეტენტური კადრების აღზრდაზე. მან დამსწრეებს გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- პროგრამის შინაარსობრივი მხარის გამრავალფეროვნებას ტექნოლოგიების მიმართულებით არჩევითი სასწავლო კურსებით, ზოგადი სასწავლო კურსების ოპტიმიზაციით გათავისუფლებული კრედიტების ხარჯზე.

- რიგი თემატურად მსგავსი კურსებიდან (სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა, სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი, აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები), ერთი ან ორი კურსის შექმნას სწავლის შედეგების მიხედვით.
- პროგრამაში ან სადოქტორო დებულებაში საფაკულტეტო დროებით კომისიასთან აპლიკანტის გასაუბრების ფორმატისა და პროგრამაზე ჩარიცხვის კრიტერიუმების მკაფიოდ გაწერას.
- „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის და მათი შეფასების წესში“ დოქტორანტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმების მკაფიოდ გაწერას.
- პროგრამის სტრუქტურის ცვლილებას, კრედიტების გადანაწილებას ძირითად და არჩევით საგნებს შორის პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით.
- სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურის განახლებას. გამოსაყენებელ ლიტერატურულ წყაროებად საერთაშორისო პუბლიკაციების, მონოგრაფიებისა და შესაბამისი რეიტინგული ვებ-გვერდების მითითებას.
- სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლების მეთოდების გადახედვასა და დაკონკრეტებას.
- შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნებას, შეფასების ზოგიერთი კომპონენტის დაზუსტებას და პროგრამის თითოეულ კომპონენტში შეფასების მეთოდების განსაზღვრას სასწავლო კურსის სპეციფიკისა და გამოყენებული სწავლა/სწავლების მეთოდებიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა იკითხა იყო თუ არა დაცული დისერტაციები პროგრამაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ პროგრამას ამ ეტაპზე არ ჰყავდა კურსდამთავრებული და ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასემინარო ნაშრომებს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტი 2014 წელს შეიქმნა და არსებული პროგრამების ნაწილი შეიქმნა ახალ ფაკულტეტზე, ზოგიერთი პროგრამა კი, მათს შორის განსახილველი პროგრამა, გადმოვიდა სხვა ფაკულტეტიდან. სასურსათო ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამას მისი თქმით, ჰყავდა 8-9 აქტიური სტუდენტი და მათ შორის, ერთ-ერთი მისი თქმით ძალიან მალე დაიცავდა. მისი თქმით, დასკვნაში აღნიშნული იყო ის ფაქტი, რომ ყველა სტუდენტი დასაქმებული იყო უნივერსიტეტში ასისტენტების თანამდებობაზე და მისი თქმით, უნივერსიტეტს ჰქონდა სურვილი, რომ ეს ადამიანები დარჩენილიყვნენ მათთან და ქცეულიყვნენ მაღალკვალიფიციურ პერსონალად. მისი თქმით, სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციისათვის მომზადება მოხდა გარდამავალ პერიოდში, რადგან უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამებისადმი ცვლიდა თავის მიდგომას, რაშიც იგულისხმებოდა ის, რომ მაისიდან მუშაობდა ანტიპლაგიატური სისტემა, ამასთან ერთად, მისი თქმით, საფაკულტეტო საბჭოების ნაცვლად ამუშავდებოდა დარგობრივი საბჭოები. მისი თქმით, ფაქტობრივად ბევრი რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა, გასწორდებოდა ავტომატურად. ასევე, მან აღნიშნა, რომ რეიტინგული ჟურნალების საკითხიც მალე გასწორდებოდა და იგივე ეხებოდა საუნივერსიტეტო საგნებსაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის, და აღნიშნა, რომ სურდა რამდენიმე რეკომენდაციას შეხებოდა. პირველ რეკომენდაციაზე მან შენიშნა, რომ ამ კუთხით იგეგმებოდა მუშაობა და ეს იქნებოდა მიზნული ჩარიცხულ სტუდენტებზე. მან აღნიშნა, რომ 20-30 სილაბუსის ჩადება სადოქტორო პროგრამაზე არ იქნებოდა გამართლებული და აღნიშნა, რომ რა მიმართულებითაც სტუდენტები დააპირებდნენ კვლევას იმ მიმართულებით მოხდებოდა შემდეგ მათთვის შესაბამისი კურსების შეთავაზება. მან ასევე აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა მეორე რეკომენდაციის საკითხს, ეს გასწორდებოდა და ამაზე მიმდინარეობდა უკვე მუშაობა. მესამე და მეოთხე რეკომენდაციის საკითხების შესახებ მან აღნიშნა, რომ ექსპერტებს მიეწოდათ ლინკი, სადაც განმარტებული იყო ჩარიცხვის პროცესები, ხოლო დებულებაში მითითებული იყო გასაჩივრების მექანიზმიც, თუმცა ცოტა დაუკონკრეტებლად. ლიტერატურასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ლიტერატურა დაზუსტდებოდა და განახლდებოდა. ასევე, მისი თქმით იმუშავებდნენ მეთოდებთან დაკავშირებულ. მან ასევე აღნიშნა, რომ შაქარსა და სპირტზე ორიენტირებით, პროგრამა არ ამზობდა უარს სხვა საკითხებზე, თუმცა ეს იმას ემსახურებოდა, არსებობდა მოთხოვნა წარმოებისაგან კონკრეტულ თემებზე და შესაბამისად დაწესებულება ცდილობდა, რომ სადოქტორო ნაშრომები, რომლებიც შეიქმნებოდა არ დადებულიყო თაროზე გამოუყენებლად, არამედ ჰქონოდა გამოყენება.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა სიტყვა გადასცა მოწვეულ სპეციალისტს როზა ლორთქიფანიძეს.

მოწვეულმა სპეციალისტმა როზა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე რჩევა ჰქონდა, კერძოდ, ეთილის სპირტის წარმოების სილაბუსში მოცემული იყო რამდენიმე არასწორი ტერმინი, რაც იყო მცირე ნიუანსები. ასევე, მან შენიშნა, რომ ხარისხის მართვის სისტემების კურსს უმჯობესი იქნებოდა თუ დაერქმეოდა სურსათის ხარისხის მართვა და ჰასპის სისტემები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს კურსი მხოლოდ სურსათს არ მოიცავდა. მოწვეულმა სპეციალისტმა შენიშნა, რომ მოცემულ სილაბუსში მითითებული იყო ორი ძირითადი ლიტერატურა და ორივე იყო მიკრობიოლოგია, მან აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ დაიფარებოდა ქიმიური და ფიზიკური საფრთხეებიც და ამ საკითხების შეტანა მოხსნიდა ზედმეტ კითხვებს. მისი თქმით, დოქტორანტი ჰასპის სისტემებიდან უნდა იწყებდეს საქმიანობას. ასევე, მაქრისა და მაქრისმაგვარი ტექნოლოგიების სილაბუსში იდენტურად იყო გამოყენებული ტერმინები: „დიფუზია“ და „გამოწვრილვა“, რაც, მისი თქმით, არ იყო იდენტური.

მოწვეულმა სპეციალისტმა ნინო ვეფხიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ დადებითად იყო პროგრამა შეფასებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ პროგრამა გამართული იყო და მუშაობდა. სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა შენიშნა, რომ რჩევებში ეწერა, რომ სასემინარო ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურა უნდა იყოს თანამედროვე ლიტერატურაზე დაფუძნებული და იკითხა იყო თუ არა მოცემულ დროს ეს ასეა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჯგუფმა ისაუბრა იმის შესახებ, უნდა ყოფილიყო ეს რჩევა თუ რეკომენდაცია. მისი თქმით, მითითებული იყო უკვე ლიტერატურა, თუმცა უმჯობესი იქნებოდა მითითებულიყო ლინკები, მონოგრაფიები, თანამედროვე კვლევის შედეგები. მისი თქმით ექსპერტებმა მოახდინეს საკითხის დიფერენცირება და სინამდვილეში ეს რჩევა დიდწილად უკავშირდებოდა პირველ რეკომენდაციაში მოცემულ საკითხს და მხოლოდ ცალკეული კურსისათვის რეკომენდაციის გაცემა არ ჩათვალეს საჭიროდ.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ შენიშნა, რომ წინაპირობაში ნახსენები იყო სხვადასხვა უცხო ენების ცოდნა, თუმცა არ იყო მითითებული ლიტერატურა სხვა ევროპულ ენებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ინგლისური პრიორიტეტი იყო. ასევე რუსულადაც ბევრი რესურსი არსებობდა. მან აღნიშნა, რომ ყველა დოქტორანტი ამ ეტაპზე ინგლისური ენით იყო მოსული, თუმცა შეზღუდვა შეიძლებოდა ყოფილიყო დისკრიმინაცია. საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ დასახვეწი იყო მეთოდები, რადგან იყენებდნენ ბაკალავრიატის იდენტურ მეთოდებს. ასევე, იგი დაინტერესდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გეგმებით და იკითხა, თუ რამდენი აკადემიური პერსონალი იყო ჩართული პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიუგო, რომ იდგა გარდამავალი ეტაპი და მოხდებოდა უნივერსიტეტის მასშტაბით მთლიანად გადახედვა მეთოდების. ინტერნაციონალიზაციის საკითხი მისი თქმით პროგრამაზე ნათელი იყო, ფაკულტეტზე არსებობდა ფინანსური შესაძლებლობები იმისა, რომ დოქტორანტებს გაედრმავებინათ ცოდნა საზღვარგარეთ. ასევე, მან აღნიშნა, რომ ერასმუსითა და საფაკულტეტო ხარჯებით ჩამოდიოდნენ პროფესორები ყოველ სემესტრში. მაგალითად, მიმდინარე სემესტრში ჰყავდათ მხოლოდ საფრანგეთიდან 4 პროფესორი, ასევე იტალიიდანაც იყვნენ სტუმრები. მომავალ სემესტრში, მისი თქმით, დაგეგმილი იყო იტალიელი პროფესორების ჩამოყვანა ნაწილობრივ ფაკულტეტის ხარჯებით და ძირითადად მათ ლექციებს ესწრებოდნენ მაგისტრანტები და დოქტორანტები. ეს ვიზიტები, მისი თქმით, ეხებოდა მთლიანად ფაკულტეტს, თუმცა ძირითადი მიმართულება იყო აგრარული მეცნიერებებისა და სასურსათო ტექნოლოგიები. მან აღნიშნა, რომ სტუდენტები იყვნენ საბჭოს წევრებიც და ისინი მონაწილეობდნენ ბიუჯეტის შედგენაშიც. მან აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ კვლევითი მიზნებით წასული დოქტორანტი ფინანსდებოდა სრულად და ასევე წარმატებული დოქტორანტებისათვის უნივერსიტეტს ჰქონდა სპეციალური ხელშეწყობაც. ასევე, მისი თქმით ისინი ელოდებოდნენ ამერიკელ დოქტორანტსაც პროგრამაზე და ზოგადად ინტერნაციონალიზაციის პროცესი იყო ორმხრივი. საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა იკითხა ხომ არ იქნებოდა უმჯობესი, რომ პროფესორის ასისტენტობა შესულიყო პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მას არ მიაჩნდა ეს სავალდებულო და შეიძლებოდა იმავე უნარების განვითარება სხვა ფორმებითაც.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა შენიშნა, რომ დოქტორანტი იყო პოტენციური ლექტორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ წარმატებულ დოქტორანტებს, რომელთან დაკავშირებითაც ჰქონდა უნივერსიტეტს გეგმები ისედაც სთავაზობდნენ ასისტენტობას.

საბჭოს სხდომაზე 12:45 საათზე გამოცხადდა შესვენება.  
სხდომა განახლდა 13:00 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ პროგრამის ფუნქციონირების უწყვეტობისა და პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიზნით გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2019 წლის 25 თებერვლიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**  
მომხრე - 9  
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.  
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 25 თებერვლიდან.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული ტექნოლოგიები
კვალიფიკაციის დონე	მე-8 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი აგრონომიაში 0101
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო გაცემული რეკომენდაციები:

- საჭირო იყო ხელმძღვანელებს განეხილათ ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებად პროგრამაში ჩასასმელად შემდეგი საგნები: 1. მოლეკულური გენეტიკა: ფუნდამენტური ტექნოლოგიები მცენარეთა პათოლოგიასა და ენტომოლოგიაში; 2. მავნებელთა ინტეგრირებული მართვა; 3. წრფივი სტატისტიკური მეთოდები R-ის გამოყენებით; 4. ცხოველთა და მცენარეთა მოშენების თანამედროვე მიდგომები; 5. რისკის შეფასება და ანალიზი სოფლის მეურნეობაში; 6. აგრობიომრავალფეროვნება. ასევე უნდა დაემატოს დარგობრივი ინგლისური ენა დაშვების წინაპირობის არ შეცვლის შემთხვევაში.
- კურსები „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „სამეცნიერო კვლევის მეთოდები აგრონომიაში“ უნდა გაერთიანებულიყო ერთ საგნად, ხოლო საგნიდან „სამეცნიერო

კომუნიკაციის ტექნიკა“ სალექციო კურსები, რომლებიც გადაფარვაში იყო „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“-ის კურსთან უნდა მოსულიყო შესაბამისობაში.

- საჭირო იყო პროგრამას ჰქონოდა უფრო მეტი დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსი;
- დოქტორანტისთვის 1 სტატიის გამოქვეყნება მაინც უნდა ყოფილიყო სავალდებულო საერთაშორისო, მაღალრეიტინგულ, ფიერ-რევიუდ (Peer Review), იმფაქტ-ფაქტორიან (IF), მაღალი ციტირების (H-index) ინდექსის მქონე ჟურნალში.
- საჭირო იყო ცვლილება შესულიყო სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის საჭირო სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებელ ჟურნალთა ნუსხაში, მასში წარმოდგენილი ზოგიერთი ჟურნალი, (ზოგიერთი ჟურნალიც კი არაა მაგ.: სსმმა გაზეთი „მაცნე“, ასევე „აგრარული საქართველო“ და სხვ.) რომელიც ვერ აკმაყოფილებდა სამეცნიერო ჟურნალის მოთხოვნებს, აუცილებელი იყო ამოღებულიყო სიიდან და ნუსხა შევსებულიყო სხვა, დარგში მიღებული გამოცემებით.
- სასწავლო კურსების შინაარსის გაცნობიერებისთვის სილაბუსებში სახელმძღვანელოების გარდა ლიტერატურულ წყაროდ მითითებულიყო სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციები, შესაბამისი საიტები.
- სილაბუსების ძირითად ლიტერატურად გამოყენებულიყო ქართულენოვანი სხვადასხვა ლიტერატურა.
- რეკომენდირებული იყო, სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისად დაკონკრეტებულიყო სწავლების მეთოდები;
- რეკომენდირებული იყო, ლაბორატორიული სწავლების მეთოდის გამოყენებაც, რომელიც სასწავლო კომპონენტის ათვისების ერთ-ერთი აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენდა;
- სილაბუსებში მითითებულიყო მხოლოდ სწავლება/სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები;
- საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, შეფასების კონკრეტული მეთოდები განსაზღვრულიყო სასწავლო კურსის სპეციფიკისა და გამოყენებული სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებიდან გამომდინარე, რომელთა შეფასების კრიტერიუმები იქნებოდა ნათელი და გაწერილი სილაბუსში; რეკომენდებული იყო შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნება და ზოგიერთი კომპონენტის დაზუსტება.
- რეკომენდირებული იყო, შექმნილიყო მექანიზმი, რისი საშუალებითაც სტუდენტები მიიღებდნენ, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტებს წინა პროგრამის მსგავსი რეკომენდაციები ჰქონდათ, ამ შემთხვევაშიც, და უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ძირითად ნაწილს განხილვისას პასუხები უკვე გასცეს. მან დაამატა, რომ დაწესებულება არგუმენტირებულ პასუხში აღნიშნავდა, რომ ლაბორატორიული მეთოდები კოლოკვიუმში იყო გათვალისწინებული, მაგრამ ექსპერტების მოსაზრებით, ლაბორატორიული მეთოდების დამატების საჭიროება იდგა სასწავლო კომპონენტშიც და ამას კოლოკვიუმი ვერ ჩაანაცვლებდა. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია დარჩა დასკვნის საბოლოო ვერსიაშიც. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა გაზრდილი იყო და მოტივირებულ სტუდენტებს შეხვდნენ ვიზიტის პერიოდში. მან გააუღერა რჩევაც, რომ ხარისხის სამსახურს გაეგრძელებინა პერსონალის განვითარების ღონისძიებების ჩატარება და გამოყო კონკრეტულად სწავლების მეთოდების ნაწილი, რაც პროგრამის განმახორციელებლებს აუმაღლებდა კვალიფიკაციას და მოემსახურებოდა



სილაბუსების დახვეწას. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე სწავლობდა სტუდენტი, რომელსაც არ ჰქონდა წინა განათლება შესაბამისი სპეციალობით, თუმცა გასაუბრებაზე მან დაადასტურა, რომ იყო კარგად გაცნობიერებული საკითხში და ჰქონდა მაღალი მოტივაცია. მიუხედავად ამისა, ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ, ადმინისტრაციას მიეცა საშუალება ასეთი სტუდენტებისთვის, დამატებითი კურსები აეღოთ საბაკალავრო ან სამაგისტრო საფეხურის პროგრამებიდან. მან დადებითად შეაფასა უნივერსიტეტის ჯგუფის მუშაობა, რადგან ისინი ერთად და გუნდურად აკეთებდნენ საქმეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმეტესობას წინა პროგრამის განხილვისას უპასუხეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დაამატა, რომ პროგრამაზე მესამე კურსის სტუდენტი არ სწავლობდა, შესაბამისად, არც დაცვა მოხდებოდა მიმდინარე წელს. მისი თქმით, სტატიის საერთაშორისო ჟურნალში დაბეჭდვის შესახებ რეკომენდაციას იზიარებდნენ და ისედაც ასე იგეგმებოდა პროცესი სამომავლოდ, თუმცა დაადასტურა, რომ ამას დოკუმენტურადაც ასახავდნენ მოკლე პერიოდში. მან დაამატა, რომ განსხვავებული დარგებიდან მოსული ისედაც ესწრებოდნენ კურიკულუმის გარეთ ლექციებს და ავსებდნენ წინარე ცოდნის დანაკლისს საჭიროების შემთხვევაში.

მოწვეულმა ექსპერტმა, ნინო ვეფხიშვილმა, კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რატომ არ იყო პროგრამაში გათვალისწინებული აგრომელიორაციული ტექნოლოგიები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგადად ბევრი კურსის შეთავაზება შეიძლებოდა და მიესალმებოდა მრავალფეროვნებას, თუმცა ერთი პროგრამა ამდენ საგანს ვერ დაიტევდა.

მოწვეულმა ექსპერტმა განაცხადა, რომ აგრარული სფერო სულ 4 მიმართულებაზე იდგა და აქედან ერთი იყო აგრომელიორაცია, შესაბამისად, მას მიზანშეწონილად მიაჩნდა მისი ჩართვა პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ცალკე არსებობდა უნივერსიტეტში აგროინჟინერიის სადოქტორო პროგრამა და იქ იყო გათვალისწინებული აგრომელიორაციის საკითხები. გარდა ამისა, უნივერსიტეტში დაყოფილი იყო საბჭოები და აგრომელიორაცია და ინჟინერია არ შედიოდა აღნიშნული პროგრამების ქუდში, მან დაამატა, რომ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვითაც, ეს სფეროების განსხვავებულ მიმართულებებში იყო წარმოდგენილი.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა დისერტაციის დაცვის წინაპირობით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გარდა სასწავლო კომპონენტის შესრულებისა, უნდა დაცულიყო დოქტორანტურის დებულების მოთხოვნები, 3 სტატიის გამოქვეყნება და კონფერენციაში მონაწილეობა. მან ასევე დაამატა, რომ კონფერენციაზე სტუდენტი უნდა გამოსულიყო პირადად, საკუთარი მოხსენებით.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, როზა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ აგრარულ კულტურათა ბიოქიმიის სილაბუსის ერთ-ერთი მიზანს შეადგენდა, სტუდენტისთვის მიეცა ცოდნა მცენარეული წარმოშობის ბუნებრივი ინგრედიენტების საკვებ დანამატებში გამოყენების შესახებ, თუმცა სილაბუსში ეს საკითხები არ იკითხებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა გურამ ტყემალაძემ განაცხადა, რომ თემა განიხილებოდა მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებით სურსათის შექმნა ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელში ფუნქციური დანიშნულების მინიჭების მიზნით. მისი 4 დოქტორანტი მუშაობდა 4 განსხვავებულ თემაზე - ხორცზე, პურზე, რძეზე და ალკოჰოლურ სასმელებზე (ღვინო, ლიქიორები); მათ შეჰქონდათ დამატებით ინგრედიენტად მაგალითად, დამამშვიდებელი, ბალახით გამდიდრებული ნივთიერება და სწორედ ამ კუთხიდან ხდებოდა აღნიშნული საკითხების გავლა.

საბჭოს სხდომაზე 13:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 13:40 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ პროგრამის ფუნქციონირების უწყვეტობისა და პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიზნით გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2019 წლის 25 თებერვლიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 25 თებერვლიდან.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატყეო საქმე
კვალიფიკაციის დონე	მე-8 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი სატყეო საქმეში 0105
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან, წარმოდგენილ დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ სწავლის შედეგების რეალიზაციის სფეროებში გაწერილია მხოლოდ სასწავლო კომპონენტები (სასწავლო კურსები) და არ ჩანს კვლევითი კომპონენტებით და სემინარებით რა სწავლის შედეგებზე გადის დოქტორანტი;
- პროგრამაში მკაფიოდ გაიწეროს მიღების წინაპირობები, განმარტებული იქნას ჩანაწერი „ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი“. ბაკალავრის დიპლომი ვერ იქნება დოქტორანტურაში მიღების წინაპირობა;
- პროგრამაში მკაფიოდ გაიწეროს რომელი დონის უცხო ენის ცოდნა მოეთხოვებათ და რა ტიპის გამოცდას აბარებენ უცხო ენაში; დაკონკრეტებული უნდა იყოს უცხო ენის რომელი

საერთაშორისო სერტიფიკატის (მაგ TOEFL, IELTS, FCE, CAE...) არსებობის შემთხვევაში თავისუფლდება კანდიდატი გამოცდის ჩაბარებისგან.

- პროგრამაში ან სადოქტორო დებულებაში მკაფიოდ გაიწეროს საფაკულტეტო დროებით კომისიასთან აპლიკანტის გასაუბრების ფორმატი და სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის რა მიიღება მხედველობაში (მაგ. კანდიდატის კვალიფიკაცია, კანდიდატის პროფესიული გამოცდილება, სამეცნიერო კვლევისთვის აუცილებელი უნარ ჩვევები თუ საკუთარი ხედვა გამოცხადებული საკვლევი თემატიკის შესახებ?)
- სილაბუსის „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ არ შეესაბამება შინაარსს, კურსის სათაური მოვიდეს შესაბამისობაში შინაარსთან, მიზანთან და სწავლის შედეგებთან, უნდა დაზუსტდეს სალექციო თემები და წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურა. ამ კურსის სალექციო მე-8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 თემები და სასემინარო თემები ფარავს სასწავლო კურსის „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“ მე-7, 8, 9, 10, 11 სალექციო თემებს.
- სილაბუსში „ტყის ეკოსისტემები და მათი დაცვა“ შეფასების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა მოვიდეს შესაბამისობაში, წარმოდგენილ სილაბუსში მიმდინარე აქტივობის შეფასება 30 ქულიანია და ხდება: ა) პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალების შესრულებისა და ბ) თემატური პროექტის წარდგენის საფუძველზე თითოეული პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით და თემატური პროექტი ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით. შეფასების კრიტერიუმად კი გაწერილია მხოლოდ 3-3 ქულიანი ტესტები;
- „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ დოკუმენტში, დანართი 3-ში (გვ.4, პუნქტი 2.4.8.) წერია, რომ დოქტორანტის თითოეული თემატური სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, შუალედური (30 ქულა) და დასკვნითი (70 ქულა), ხოლო დანართ 4-ში გვ.14 თემატური სემინარის შუალედური და დასკვნითი შეფასებების კრიტერიუმების მაქსიმალური ჯამური ქულაა 20-20, რაც წინააღმდეგობაში მოდის ასევე აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებასთან „3“ 2. სადაც წერია, რომ შუალედური შეფასებების მაქსიმალური ქულაა 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის 40 ქულა.
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უნდა გადახედოს სასწავლო კურსების შეფასების ფორმებს, მეთოდებს და კრიტერიუმებს, დაუტოვოს აკადემიური თავისუფლება პედაგოგებს და სტანდარტი 2-ის, 2.6 შესაბამისად თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები უნდა ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას და არა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთნაირი შეფასების სისტემას;
- დოქტორანტებმა კვლევითი კომპონენტის შესრულება უნდა დაიწყონ პირველივე სემესტრიდან. პროგრამის აღწერაში სასწავლო კომპონენტებისთვის განსაზღვრულია 60 კრედიტი, პირველ სემესტრში გათვალისწინებულია 4 სასწავლო ძირითადი სასწავლო კურსი 20 კრედიტი და თემატური სემინარი 1-ის მომზადება 10 კრედიტი, მეორე სემესტრში გათვალისწინებულია 2 ძირითადი სასწავლო კურსი 15 კრედიტი და თემატური სემინარი 2-ის მომზადება 15 კრედიტი. დოქტორანტი წარმოდგენილი გეგმის მიხედვით კვლევითი კომპონენტის შესრულებას 30 კრედიტი და შესაბამისად ამ კომპონენტის შეფასება გათვალისწინებულია მე-3 სემესტრიდან, მეხუთე და მეექვსე სემესტრი კი ეთმობა სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას და დაცვას 60 კრედიტი, დარგის კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე და კვლევისათვის მონაცემების აღების სეზონურობიდან გამომდინარე 4 სემესტრში რთულია კვლევების დასრულება და დისერტაციის წარდგენა დასაცავად.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დისერტაციის დაცვას უსდ განიხილავდა, როგორც კვლევითი კომპონენტის საბოლოო შედეგს და ამის გამო არ მოხდა მისი ასახვა რუკაზე, რადგან უსდ-ს აზრით ეს დაბნეულობას გამოიწვევდა. რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას, მან აღნიშნა, რომ მათ ადგილზევე უთხრეს ექსპერტებს, რომ ჩანაწერი, რომელშიც წერია ბაკალავრის ან მაგისტრის დიპლომი, იმის გამო იყო გაჩენილი, რომ უსდ-ს პრობლემა ექმნებოდა იმის გამო, რომ პროგრამაზე შემომავალ სტუდენტებში არ იყო შესაბამისი საბაზისო განათლება არც საბაკალავრო და არც სამაგისტრო საფეხურზე.

სხდომის თავმჯდომარე, გიორგი ამილახვარი დაინტერესდა, შეიძლებოდა თუ არა, რომ სტუდენტს საბაკალავრო საფეხურზე სხვა განათლება ჰქონოდა და სამაგისტროზე სხვა. დაწესებულების წარმომადგენელმა შენიშნა, რომ ეს შესაძლებელი იყო და ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სტუდენტს რაიმე კავშირი მაინც ჰქონოდა აღნიშნულ მიმართულებასთან. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ უცხო ენის დონის საკითხი გაწერილი იყო საიტზე თითოეული პროგრამის მიხედვით, თუ რა დონის უცხო ენის ჩაბარება არის საჭირო, ხოლო მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ გასაჩივრების მექანიზმი არსებობდა დებულებაში და რეგულირდებოდა რექტორის ბრძანებით. მან ასევე აღნიშნა, რომ საფაკულტეტო კომისიის შემვიდე მუხლში მითითებული იყო ჩარიცხვის წესი. პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დოქტორანტი იწყებდა პირველ სემესტრში თემის ირგვლივ მუშაობას, ასევე, მისი თქმით, იყო მსგავსი ჩანაწერი დებულებაშიც. 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით, მისი თქმით, ისინი დაეთანხმნენ შენიშვნას. 2.6 კომპონენტთან დაკავშირებით, მან შენიშნა, რომ არ არსებობდა არანაირი შეუსაბამობა და არ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციას. ასევე, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სთავაზობს ლექტორებს სრულ თავისუფლებას ანიჭებს ქულების მინიჭებასა და გადანაწილებაში.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, რამდენი იყო შუალედურის 30 ქულის მინიმალური ზღვარი. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იყო 20 ქულა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ სრული ჩამონათვალი არსებული ინვენტარისა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა სიტყვა გადასცა მოწვეულ სპეციალისტს, ...ს. მოწვეულმა სპეციალისტმა ნინო ვეფხიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა მნიშვნელოვანი იყო და ჰქონდა კითხვა იმის შესახებ, თუ რას გეგმავდნენ სამომავლოდ და აპირებდნენ თუ არა რაიმე ახალის შემოთავაზებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქვეყნის მასშტაბით არსებობდა მოცემული მიმართულებების სპეციალისტების სიმცირე და აღნიშნა, რომ მათ სურდათ, რომ თავად გაეზარდათ კადრები და დაეტოვებინათ უნივერსიტეტში. მან აღნიშნა, რომ მათი საკვლევი საკითხები მრავალფეროვანი იყო, მათს შორის ზოგიერთი თემატიკა იყო ისეთი, რომელზეც აქამდე არასდროს გაკეთებულა დისერტაცია.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა კვლევითი კომპონენტის 120 კრედიტთან დაკავშირებით შენიშნა, რომ დისერტაცია უნდა შეფასდეს ერთჯერადად. კოლოქიუმი 1,2 ისათვის 60-60 კრედიტის მინიჭება არ იყო მართებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იცვლებოდა მთლიანად დოქტორანტურის დებულება და რამდენიმე კვირაში იქნებოდა უკვე შეცვლილი ვარიანტი, რომელშიც დოქტორანტს და მის ხელმძღვანელს ეძლეოდა მაქსიმალური თავისუფლება.

სხდომაზე 14:20 საათზე გამოცხადდა შესვენება.  
სხდომა განახლდა 15:00 საათზე.

საბჭოს ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი არგუმენტების, საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებებისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა, რომ სატყეო საქმის სადოქტორო პროგრამა აკრედიტაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ნაცვლად მეტწილად შესაბამისობისა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/წ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ პროგრამის ფუნქციონირების უწყვეტობისა და პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიზნით გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2019 წლის 25 თებერვლიდან.

აქედან გამომდინარე, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**  
მომხრე - 9  
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>2</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/წ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 25 თებერვლიდან.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ სხდომას ესწრებოდა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე ნაკლები, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის, მე-5 პუნქტის გათვალისწინებით საბჭო არ იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება. შესაბამისად, მან საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ მოესმინათ დაწესებულების წარმომადგენლებისა და ექსპერტების მოსაზრებები, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-6 და მე-7 საკითხებზე და გადაწყვეტილებები კი მიეღოთ საბჭოს შემდეგ სხდომაზე. რაც შეეხება მე-5 საკითხს, მისი განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მიზანშეწონილი იყო მომხდარიყო მომდევნო სხდომაზე. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.



6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობა
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მეცხოველეობის ბაკალავრი 0103
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო ძირითადი რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- სრულყოფილ იქნას პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და დარგობრივი კომპეტენციების ფორმულირებები. პროგრამის და სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირება უნდა იყოს ისეთი, რომ პროგრამის სწავლის შედეგები იყოს გამჭვირვალე, დაკვირვებადი, შეფასებადი და გაზომვადი;
- პროგრამის განვითარების პროცესში აუცილებელია კურსის და პროგრამის შედეგების სწორი შედგენა, ისე, რომ კურიკულუმის რუკა იძლეოდეს კურსის შინაარსის მართვის საშუალებას, შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირის გამოვლენით.
- სხვადასხვა საგნის შინაარსში (სილაბუსებში) აღმოიფხვრას თემების გადაფარვა;
- გაუმჯობესდეს სილაბუსის გაფორმების მექანიზმები (შესაბამისი სახელმძღვანელოს, თემატიკის შესაბამისი თავების და გვერდების მითითება). სასწავლო კურსების სილაბუსებში საკითხების და ძირითადი ლიტერატურის დუბლირების თავიდან ასარიდებლად სილაბუსებში მითითებულ იქნას შესაბამისი გვერდები;



- კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს შეფასების მეთოდებს; სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის სპეციფიკასთან.
- პროგრამაში დაემატოს ანალიზური ქიმიის და ბიოქიმიის შინაარსის ამსახველი საგნები.
- ანატომიის საგნის სწავლება წარიმართოს 2 სემესტრის განმავლობაში.
- გასწორდეს და დაიხვეწოს პრერეკვიზიტების ქუკა. საგნების სწავლის წინაპირობად მითითებულ იქნას ის საგანი ან საგნები, რომელთა ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი დისციპლინის ასათვისებლად.
- საგნების სილაბუსებსა და პრერეკვიზიტების რუქაში მოცემული წინაპირობები (პრერეკვიზიტი საგნები) მოყვანილ იქნას ურთიერთშესაბამისობაში (რაც მოცემულია სილაბუსში, ზუსტად ის იყოს შეტანილი პრერეკვიზიტების რუქაში).
- სასწავლო კურსების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნას საგნის სპეციფიკა
- შესაბამის დისციპლინებში უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმების დახვეწა და მიღებული უნარების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება
- პროგრამის მდგრადობის და სტაბილურობის უზრუნველსაყოფათ, გაუმჯობესდეს შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმები, მაპროფილებელი საგნების მოწვეული პერსონალის შესანარჩუნებლად.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეივსოს ცხოველების სამოდელიო მულიაჟებით, ჩონჩხით, ორგანოების სველი პრეპარატებით და ა.შ.
- შენობის ტერიტორიაზე ორგანიზებულ იქნას სასადილოს მოწყობა სტუდენტებისა და პერსონალისათვის.
- აღმოიფხვრას შეცდომები და ხარვეზები თვითშეფასების ანგარიშში, პროგრამაში, სასწავლო კურსების სილაბუსებში და სხვა თანდართულ დოკუმენტებში. მომზადდეს ყველა ის აუცილებელი დოკუმენტი, რაც საჭიროა სტანდარტის თანახმად და არაა წარმოდგენილი აკრედიტაციის პროცესში.
- შემუშავდეს მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს უკეთეს კომუნიკაციას უნივერსიტეტის ცენტრალურ და საფაკულტეტო ხარისხის სამსახურებს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა აზრი, რომ საბაკალავრო პროგრამაში ძირითადად ერთი და იგივე რეკომენდაციები იყო მოცემული ხვადასხვა კომპონენტებში, მაგალითად, 2.3 და 2.5 კომპონენტებში, ასევე 5.1 და 5.3 კომპონენტებში.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა შენიშნა, რომ საჭირო იქნებოდა დაზუსტება რეალურად თუ ხდებოდა რეკომენდაციების „გაბეგრება“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიუგო, რომ რეკომენდაციების განმეორება ხდებოდა იმიტომ, რომ სხვადასხვა კონტექსტში ერთსა და იმავე საკითხს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მნიშვნელობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუღებელი იყო ერთი ხარვეზის გამო ბევრი რეკომენდაციების დაწერა. მან ასევე აღნიშნა, რომ კომპეტენციათა რუკის შექმნა არ იყო პროგრამისათვის სავალდებულო, არამედ მხოლოდ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმისა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შენიშნა, რომ ინტერესი მდგომარეობდა იმაში, რომ მომხდარიყო იმის გაცნობა, თუ როგორ ფასდება შედეგები, რომელზეც გადის პროგრამა.

თემატურ გადაფარვებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა შენიშნა, რომ უნივერსიტეტი იმუშავებდა, თუკი იქნებოდა შენიშნული მსგავსი შემთხვევა. (03:45:00)

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ბიოქიმიის საკითხები შესული იყო კურსში: სტრუქტურები და რეაქციები ბიოქიმიურ პროცესებში, ხოლო ანალიზური ქიმია მისი აზრით არ იყო საჭირო მოცემულ პროგრამაზე და ეს ვერ გაიყვანდა სტუდენტს ვერანაირ შედეგზე თუ მას არ მოჰყვებოდა სწავლების ინსტრუმენტალური მეთოდები, რომელიც აპარატზე მუშაობის საშუალებას მისცემდა სტუდენტს. ამის გარეშე მას მხოლოდ ზედამ წარმოდგ ექნებოდა და ეს მეცხოველეს არ სჭირდებოდა და ეს უფრო მეტად ვეტერინარიას შეიძლებოდა დასჭირვებოდა. მოწვეულმა სპეციალისტმა, როზა ლორთქიფანიძემ შენიშნა, რომ ქიმია ზოგადად მოიცავს ლაბორატორიულ მუშაობას, თუმცა ანალიზური ქიმია მეცხოველეებისთვის არ მიაჩნდა საჭიროდ. მისი თქმით, ბიოქიმია საჭირო იყო და ის იყო მოცემული პროგრამაში განსხვავებული სათაურის ქვეშ, ხოლო არაორგანულ ქიმიაში, მისი აზრით, ზედმეტი საკითხებიც იყო მოცემული.

მოწვეულმა სპეციალისტმა, ნინო ვეფხიშვილმა შენიშნა, რომ მეცხოველეობაში ეკოლოგიის საკითხებზე მეტი ყურადღება უნდა ყოფილიყო დათმობილი და არა ანალიზურ ქიმიაზე, რადგან, მისი აზრით, ეს უკანასკნელი ვეტერინარიაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა შენიშნა, რომ ეს ქართულ-ამერიკული პროგრამა იყო და საგნების განლაგება ნაკარნახევი იყო ამერიკული მხარის შეხედულებებიდან. მისი თქმით, ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰქონდა რეგულაცია, რომ 2000 წელზე უფრო ადრინდელი ლიტერატურა არ უნდა შესულიყო სავალდებულო ლიტერატურაში. მან ასევე აღნიშნა, რომ 5.3 კომპონენტზე უნდა გაეკეთებინა შენიშვნა აუცილებლად, რადგან, მასში მოცემული იყო ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სააკრედიტაციო ვიზიტისას ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი უხეშად მიმართავდა პროგრამის ხელმძღვანელს და სთხოვა ექსპერტებს, ეთქვათ, თუ რაში იყო პრობლემა, რათა შემდეგ დაწესებულებას მოეხდინა რეაგირება ამასტან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბესარიონ ლასარეიშვილმა შენიშნა, რომ ვიზიტისას ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი დამაბული იყო. მაგალითად, არ აძლევდა ექსპერტებს საშუალებას, რომ დაესრულებინათ შეხვედრა, შემოდიოდა და ითხოვდა დასრულებას. ასევე, მისი თქმით, ხარისხის წარმომადგენელმა უხეშად მიმართა პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელს.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა განაცხადა, რომ მსგავსი საკითხის განხილვა გადიოდა საბჭოს უფლება-მოვალეობებიდან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჯგუფი დადებითად იყო განწყობილი პროგრამის შესახებ და მათი აზრით, პროგრამა იმსახურებდა აკრედიტაციას. ამასთან ერთად, მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იყო მოწვეული და იღებდა დაბალ ხელფასს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდა 4 წლიანი ხელშეკრულება, არის აფილირებული და გარდა იმისა, რომ საბჭოს ხმა არ ჰქონდა, სხვა მხრივ მისი სტატუსი აკადემიური პერსონალის თანაბარი იყო, განსაზღვრულზე მეტი მუშაობის შემთხვევაში კი საათობრივი ანაზღაურება ხდებოდა. მისი თქმით, დაწესებულებაში ზოგიერთი მოწვეული პერსონალი იყო აფილირებულიც და კვლევითი ნაწილიც მათ ეთვლებოდათ.

7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობა
კვალიფიკაციის დონე	მე-8 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი 01
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ცოდნა/უნარები და კომპეტენციები ნათლად ჩამოყალიბდეს და შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ „აგრარული მეცნიერებათა დოქტორის“ კვალიფიკაციასთან;
- პროგრამის სწავლის შედეგების გამჭირვალებისთვის გაიმიჯნოს და ცალ-ცალკე გაიწეროს ზოგადი და დარგობრივი სწავლის შედეგები;
- დაზუსტდეს სწავლის შედეგების კრიტერიუმები;
- შედგენილ იქნას მიზნების შედეგებთან კავშირის რუკა
- ძირეულად კორექტირებულ იქნას კომპეტენციის რუკა (პროგრამის შედეგებთან სასწავლო კურსების კავშირის ამსახველი რუკა). კომპეტენციის რუკაში ფორმულირებული პროგრამის სწავლის შედეგები ისეთი ფორმით ფორმულირდეს, რომ იყოს გაზომვადი და შეფასებადი.
- შედგენილ იქნას სწავლის პრაქტიკული შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც ასახავს თუ როგორ ფასდება პროგრამის პრაქტიკული შედეგები და გამომუშავებული უნარები.

- პროგრამაში დაშვების წინაპირობები დაზუსტდეს და მკაფიოდ გაიწეროს. დაზუსტდეს, თუ რომელი დონის უცხო ენის ცოდნა მოეთხოვებათ დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებს და როგორი სახით ჩატარდება გამოცდა უცხო ენაში.
  - დაზუსტდეს საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრების ფორმატი (ტესტირება, საკითხები სპეციალობაში, საკვლევი თემატიკა და ა.შ).
  - საფაკულტეტო დროებითი კომისიის მიერ კანდიდატის შესაბამისობის დადგენის მექანიზმი - მითითებული მუხლი 5; პუნქტი 6,7,8 არ შეესაბამება საკითხს;
  - სასწავლო კურსების სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კომპონენტები და მეთოდები. შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სპეციფიკასთან და სწავლის შედეგებთან;
  - სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიწეროს მხოლოდ ის სწავლის მეთოდები, რომელიც გამოიყენება სწავლების პროცესში;
  - აღმოიფხვრას თემატური გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებში - „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“. სასწავლო კურსის „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის“ სათაური და შინაარსი დაზუსტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან;
  - დოქტორანტებმა კვლევის კომპონენტის შესრულება დაიწყონ პირველივე წლიდან;
  - დოქტორანტმა საკვლევ თემასთან დაკავშირებული მინიმუმ ერთი სტატია გამოაქვეყნოს საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემლობაში;
  - უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა შეფასების ფორმებში გაითვალისწინონ პროგრამის და სასწავლო კურსების სპეციფიკა და დაუშვან აკადემიური თავისუფლება (იხ. აკადემიური საბჭოს დადგენილება # 2691; 2017წ.27.12);
  - აღმოიფხვრას ტექნიკური შეცდომები და ხარვეზები თვითშეფასების ანგარიშში, პროგრამაში, სასწავლო კურსების სილაბუსებში და სხვა თანდართულ დოკუმენტებში.
- ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ დოკუმენტებიდან არ ჩანდა ის, რომ პროგრამაზე კვლევას იწყებდნენ პირველივე სემესტრიდან და ამასთან ერთად, მან დასძინა, რომ ტექნიკურად ვერ მოხდებოდა ამ სემესტრში კვლევის დაწყება. მისი აზრით, ხისტი იყო ის მიდგომა, რომ მე-6 სემესტრში უნდა ყოფილიყო დაცვა და ამასთან ერთად დასძინა, რომ შეფასების მექანიზმიც ცხადად ჩანდეს პროგრამაში. მან აღნიშნა, რომ სემინარი სასწავლო კომპონენტია და არა კვლევითი და დაამატა, რომ ამერიკულ უნივერსიტეტთან უკვე დამთავრდა მემორანდუმი.
- დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამერიკელებთან ერთად გაკეთდა მხოლოდ საბაკალავრო პროგრამები.
- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დოქტორანტების მიერ იმფაქტ ფაქტორიანი ჟურნალებში გამოქვეყნება იქნებოდა მნიშვნელოვანი და ასევე დასძინა, რომ კარგი იქნებოდა, თუ პროგრამაზე პრიორიტეტი იქნებოდა ინგლისური ენა.
- დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 3 დოქტორანტი ჰყავდა პროგრამას, რომელთაგანაც ერთმა დატოვა პროგრამა. მან აღნიშნა, რომ პროგრამამ განიცადა ცვლილება, დაემატა რა კომუნიკაციის კურსი.

15:45 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:  
გიორგი ამილახვარი



მდივანი:  
მაკა ლაშხია

